

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
ოცნება

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2018 წელი

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლების ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს "ოცნება"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	4	7 846 079	7 543 067
სხვა შემოსავლები		61 965	252 832
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(507 231)	(412 691)
მარაგის შემენა		(4 035 266)	(4 006 572)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(604 795)	(830 179)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(440 061)	(451 079)
შემძენილი მომსახურების ხარჯი	5	(411 018)	(414 285)
საგადასახადო ხარჯი		(61 467)	(62 462)
სხვა ხარჯი	6	(55 084)	(78 450)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 793 123	1 540 180
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(169 768)	258 027
ფინანსური ხარჯი		(338 616)	(454 232)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 284 739	1 343 975
მოგების გადასახადი		(9 615)	(19 145)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 275 125	1 324 831

დირექტორი

ილია გაბაიძე

მთ. ბუღალტერი

ლალი შარაშიძე

შპს "ოცნება"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	6 217 002	6 579 442
არამატერიალური აქტივები	8	20 864	24 546
სულ გრძელვადიანი აქტივი		6 237 866	6 603 988
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9	3 839 542	4 346 772
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	727 675	809 131
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		43 545	23 486
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	94 160	856 423
სულ მიმდინარე აქტივები		4 704 921	6 035 812
სულ აქტივები		10 942 788	12 639 800
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		13 117	13 117
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		5 739 099	4 505 896
სულ საკუთარი კაპიტალი		5 752 215	4 519 012
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	2 656 255	4 235 611
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 656 255	4 235 611
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	2 347 341	3 627 230
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		186 976	257 947
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2 534 317	3 885 177
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10 942 788	12 639 800

დირექტორი

ილია გაბაიძე

მთ. ბუღალტერი

ლალი შარაშიძე

შპს "ოცნება"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2016 ნაშთი	13 117	3 285 137	3 298 254
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	1 324 830,53	1 324 831
გაცემული დივიდენდი		(104 072)	(104 072)
31.12.2017 ნაშთი	13 117	4 505 896	4 519 012
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	1 275 125	1 275 125
გაცემული დივიდენდი	-	(41 922)	(41 922)
31.12.2018 ნაშთი	13 117	5 739 099	5 752 215

დირექტორი

ილია გაბაიძე

მთ. ბუღალტერი

ლალი შარაშიძე

შპს "ოცნება"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 299 793	8 764 729
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4 081 057)	(5 432 359)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(742 855)	(711 893)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>4 475 882</u>	<u>2 620 477</u>
გადახდილი გადასახდები	(1 654 596)	(1 443 395)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	2 821 286	1 177 082
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 821 286	1 177 082
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(23 677)	(194 679)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(35 445)	(12 741)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(59 122)	(207 420)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	4 895 305	4 497 313
სესხის დაფარვა	(8 026 524)	(4 277 344)
პროცენტის დაფარვა	(321 793)	(407 980)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	158 926	24 969
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(230 341)	(42 651)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3 524 427)	(205 692)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(762 263)	763 969
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	856 423	92 454
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	94 160,10	856 423

დირექტორი

ილია გაბაიძე

მთ. ბუღალტერი

ლალი შარაშიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ოცნება შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ბათუმი, ტაბიძის 4 ა საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, ტაბიძის 4ა. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა მოსაკირწყელი ქვების წარმოება-რეალიზაცია, ქონების იჯარით გაცემა, მოსაპირკეთებელი მასალების რეალიზაცია, ხის და ლითონის კარების წარმოება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით საწყებელი და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

დაკავშირებული მხარისაგან უპროცენტოდ ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის მიღებიდან წარმოქმნილი ვალდებულება აღიარდება მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება მსგავსი სავალდო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები	-10-15%
- საოფისე აღჭურვილობა	-20-50%
- ავეჯი და მოწყობილობები	-15-35%
- სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით)იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7 866 672	7 543 067
2	სხვა შემოსავალი	725 041	585 656
	ჯამი:	8 591 713	8 128 723

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	რეკლამის ხარჯი	29 335	31 458
2	სატრანსპორტო მომსახურება	-	17 453
3	საიჯარო მომსახურება	99 965	70 037
4	კომუნალური მომსახურება	19 110	37 128
5	კომუნიკაციის ხარჯი	14 050	12 815
6	სხვა მომსახურების ხარჯი	224 558	205 341
7	მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	24 000	40 054
	ჯამი:	411 018	414 285

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	ჯარიმები და საურავები	18 874	-
2	ძირითადი საშუალების ჩამოწერის ხარჯი	31 560	106
3	საექვო მოთხოვნის რეზერვები	-	48 744
4	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4 650	29 601
	ჯამი:	55 084	78 450

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2018	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2017
1	მიწის ნაკვეთი	443 895			443 895
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	-			-
3	შენობა	4 314 740	46 510	142 582	4 410 812
4	მანქანა დანადგარები	1 071 751	1 344	146 545	1 216 952
5	ოფისის აღჭურვილობა	30 412	23 285	18 957	26 085
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	106 106	3 725	56 721	159 101
7	სატრანსპორტო საშუალებები	248 774	30 636	103 135	321 273
8	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი	1 324	-	-	1 324
	ჯამი:	6 217 002,5	105 500	467 940	6 579 442

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2018	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2017
1	სხვა არამატერიალური აქტივი	20 864		3 682	24 546
	ჯამი:	20 864	-	3 682	24 546

9. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	4 035 266	4 006 572
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	4 346 772	4 759 464
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	3 839 542	4 346 772

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო მოთხოვნები	720 751	799 689
3	მოთხოვნა პერსონალთან	0	7 499
4	გადახდილი ავანსები	6 924	1 943
	ჯამი:	727 675	809 131

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	34 806	125 156
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	4	729 906
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	59 350	1 361
	ჯამი:	94 160	856 423

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	გრძელვადიანი სესხები	2 656 255	4 235 611
	ჯამი:	2 656 255	4 235 611

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	სავაჭრო ვალდებულებები	2 280 921	3 577 024
2	პერსონალთან სახელფასო ვალდებულება	52 654	46 839
3	ვალდებულება პერსონალთან	13 766	3 366
	ჯამი:	2 347 341	3 627 230

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 ოქტომბერს.

დირექტორი:

ილია გაბაიძე

მთ. ბუღალტერი:

ლალი შარაშიძე



შპს „ოცნება“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2018 წელი

შპს „ოცნება“

ს/ნ: 245403086

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 1996 წლის იანვარში.

იურიდიული მისამართი: ბათუმი, ტაბიძის 4 ა

ფაქტობრივი მისამართი: ქ.ბათუმი, ტაბიძის 4ა

დირექტორი: ილია გაბაიძე

ტელ: (+995) 577 32 02 02

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV- სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

შპს „ოცნება“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

მეირფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „ოცნება“-ს 2018 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად. შპს „ოცნება“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 2019 წლის 04 ივნისიდან სადამფუძნებლო კრების მიერ.

შპს "ოცნება" დაფუძნებულ იქნა 1996 წელს. თავდაპირველად კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო დეკორატიული ფილების წარმოება და რეალიზაცია. 2009 წლიდან კომპანიამ თავდაპირველად სარეალიზაციო საქონელი შემოიტანა თურქეთიდან, ამავდროულად ვახდენდით ადგილობრივ ბაზარზე პროდუქტების შეძენასა და რეალიზაციას. საქმიანობის საწყის ეტაპზე ბაზარზე არსებული კონკურენტების მიერ ხდებოდა ნაკლებად კონკურენტული ბაზრის არარაციონალური, მაღალი ფასებით საქონლის მიწოდება. ჩვენმა კომპანიამ თავდაპირველად დაბალი საფასო პოლიტიკით დაიწყო ბაზარზე შესვლა, რითაც ერთი წლის განმავლობაში მოვახერხეთ ბაზარზე პოზიციის გამყარება. მოთხოვნის მუდმივი ზრდიდან გამომდინარე, სარეალიზაციო საქონლის იმპორტირება ხდებოდა ჩინეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან და ა.შ, რამაც ერთგვარად ბიძგი მისცა ბიზნესის ზრდას. თანმდევი დაბრკოლებები ჰქონდა ასევე საქონლის იმპორტს, ისინი ითხოვდნენ დიდი პარტიებით საქონლის შეკვეთებს, ასევე შემდგომ გარანტირებულ გაყიდვებს. ამ ეტაპზე კომპანიას ჰქონდა მცირე სავაჭრო ობიექტი, მომარაგებისათვის ასევე გვექონდა სასაწყობო ფართი. იმპორტირებული, გაზრდილი ასორტიმენტის შედეგად, შეიქმნა სავაჭრო ობიექტის ფართის გაზრდის მოთხოვნა, შესაბამის 2012 წლის იანვრიდან ფირმამ იჯარით აიღო ახალი ფართი (სასაწყობო შენობა), ასევე 2012 წლის ივნისში ფირმამ იჯარით აიღო ახალი ფართი (მაღაზია) ეს გადაწყვეტილება კომპანიისთვის დარჩა წარმატებული, ვინაიდან ადგილი იყო სფეროსთვის შესაბამისი, ხოლო გაზრდილი ასორტიმენტი და საფასო პოლიტიკა ყოველდღიურად ზრდიდა შემოსავლებს.

2014 წლის იანვარში კომპანიის მიერ შეძენილი უძრავი ქონება, სასტუმროსა და კაზინოს ფართი, რომელიც შემდგომ გაცემულ იქნა იჯარით, კომპანიას გაუჩნდა დამატებითი შემოსავლის წყარო.

მომხმარებლის სრული კომფორტის შექმნისათვის, ასევე ჩვენი განვითარებისათვის ეტაპობრივად კომპანიამ გადაწყვიტა ახალი მიმართულებების დამატება, კერძოდ ქვის დამუშავება მომხმარებლებისათვის სასურველ ზომებში. ახალი მიმართულების დამატება უზრუნველყოფდა მყიდველებისათვის შეგვეთავაზებინა როგორც საქონელი ასევე მათთვის სასურველი მომსახურება. 2016 წლის 03 თებერვალს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს ოცნებას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება საქართველოს კანონის „აწარმოე საქართველოში სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“. მყიდველი საკუთრებაში იღებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ქალაქ თბილისში, კაიროს ქუჩა N 44-ში (ჭიჭინიძის ჩიხი N1) მდებარე 5184 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობ-ანაგებობებს N 1 საერთო ფართით 1827,5 კვ.მ N2 საერთო ფართით 44,3 კვ.მ , საკადასტრო კოდი: 01.09..22.006.007, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

კომპანიამ აიღო ვალდებულება მერქნის, მისი ნაწარმისა, არამეირფასი ლითონებისა და მათი ნაწარმის მწარმოებელი საწარმოს შექმნა-წარმოების დაწყება, განკარგულების გამოცემიდან არა უმეტეს 2 წლის ვადაში.

კომპანიამ 2016 წლის ნოემბერში შეძლო მზა პროდუქტის გამოშვება და რეალიზაციაში გაშვება. თავდაპირველად კომპანია ახორციელებდა სერიული კარების წარმოება-რეალიზაციას, როდესაც ქართული წარმოების კარი გამოჩნდა ქართულ ბაზარზე გაიზარდა მომხმარებელთა ინტერესი, რამაც გამოიწვია წარმოების ზრდა, მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდის მიზნით ფირმამ დაიწყო შეკვეთით კარის დამზადება, რაც გულისხმობდა კარის სხვადასხვა დიზაინისა და ზომის გამოშვებას. რითაც ერთი წლის განმავლობაში მოვახერხეთ ბაზარზე პოზიციის გამყარება.

კომპანიაში გაზრდილი რეალიზაციის ფონზე, განხორციელდა კადრების დამატება როგორც კარის წარმოების, ისე მასალების სფეროში. გაიზარდა წარმოება, დაემატა ახალი დანადგარები. დაემატა საქონლის ასორტიმენტი, რაც დღითიდღე ზრდის მომხმარებელების რაოდენობას.

კომპანია მუდმივად ზრუნავს ასორტიმენტის განვითარებასა და მომხმარებელების მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

კომპანია მუდმივად ახდენს მომსახურების სფეროს გასაუმჯობესებლად მსოფლიოში წამყვანი კომპანიებიდან მაღალტექნოლოგიური დანადგარების იმპორტს, ინვესტირება ყოველთვის არის დროული და თანმდევი იმისათვის რომ ვიყოთ წარმატებულები და მუდმივ რეჟიმში ხდებოდეს საწარმოს განვითარება.

2018 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2018 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, წარმოების პროცესის გამართვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდველების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს „ოცნება“-ს

დირექტორი

ილია გაბაიძე

თავი I

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი.

საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2019 წლის 4 ივნისის ოქმი #01) 2019 წლის 04 ივნისიდან შპს „ოცნება“-ს დირექტორად არჩეულ იქნა ილია გაბაიძე დაბადების წელი 1994, საქართველოს მოქალაქე.


მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.

შ.პ.ს „ოცნება“-ს სტრუქტურა



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ოცნება“-ს საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. ქვის მასალები;
2. მოაჯირის აქსესუარები;
3. მომსახურება (ქვის მასალების სამუშავება, იჯარა);
4. ლამინირებული იატაკი;
5. კარების წარმოება;

კომპანიის მომხმარებლებს წარმოადგენს როგორც საბითუმო ისე საცალო მყიდველები;

გაყიდვების მაჩვენებლებით პირველი ათეულის რიგითობა არის შემდეგი:

1. ქუთაისის დილერი - შპს გაბო 2011;
2. თბილისის დილერი- შპს გაბილდი;
3. თბილისის დილერი- შპს ზოდი პლიუსი;
4. სამეგრელოს დილერი - შპს ბაკო;
5. აჭარის დილერი - შპს ვექტორი;
6. აჭარის დილერი - შპს ახალი ხედვა

კომპანია ახორციელებს სარეალიზაციო საქონლის 95% ის იმპორტს, რომელიც წილობრივად გამოიყურება შემდეგნაირად:

1. ხის კარების მომწოდებელი ჩინეთიდან - ZHEJIANG JIANGSHAN GIANT-YOUNG CO LTD;
2. ბუნებრივი მარმარილოს მომწოდებელი თურქეთიდან - FIMAR MERMER MADENCILIK INSAAT;
3. ბუნებრივი გრანიტის მომწოდებელი ესპანეთიდან - G.I GRANITOS IBERICOS S.A;
4. ხელოვნური გრანიტის მომწოდებელი ირანიდან - STONY LAND MERMER SANAY;
5. ბუნებრივი გრანიტის მომწოდებელი ინდოეთიდან - DURGA MARBLE AND MINERALS;

კომპანიის უპირატესობები:

1. ძლიერი მხარეები :
 1. პროდუქციის ფასის ცვლილების შესაძლებლობა;
 2. წილი ბაზარზე;
 3. მასალებისა და აქსესუარების ასორტიმენტის მრავალფეროვნება;
 4. რეგულარული სიახლეები;
 5. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა;
 6. მარტივი კომუნიკაცია, მჭიდრო კავშირი ზედა და ქვედა რგოლს შორის;
 7. საქონლის ასორტიმენტის საგამოფენო დარბაზი;
 8. მომსახურების სწრაფი სერვისი;

თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

- საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:
- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- ფილიალების გახსნა რეგიონებში;
- დისტრიბუციის აწყობა საქართველოს მასშტაბით;
- პროგრამული უზრუნველყოფის სრული ავტომატიზირება;

მიმდინარე გეგმები:

- 2018 წლის ბოლოდან დაწყებული იგეგმება წარმოებული საქონლის ექსპორტად გატანა.
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა


განვითარების რესურსები:

- კომპანიას აქვს შესაბამისი მატერიალური ბაზა პროდუქციის ერთეულის წარმოების გაზრდისთვის
- გვაქვს შესაბამისი ავტომობილები, რომლითაც შესაძლებელია ლოჯისტიკური მიმართულებების ათვისება.
- კომპანიას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.


საბითუმო საწყობი გაგარინზე:



მაღაზია პუშკინზე:




მაღაზია აღმაშენებელზე:



ბუნებრივი ქვის საამქრო:



წარმოების საწყობი თბილისში;



შოურუმი, წერეთლის ქუჩაზე;



ხელვაჩაურის საწყობი;



თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.


აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა.

მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:


- გაახლდა ავტოპარკი.

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:


1. ბოლო 3 წელში აქტივების ზრდის ტენდენცია:



2. შემოსავლების დინამიკა 2016 წლიდან 2018 წლის ჩათვლით



3. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2016-2018 წლებში



თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

შპს „ოცნება“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს “ოცნებას“-ს მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

შპს „ოცნებას“ ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულ-ებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

საზოგადოება ასევე ითვალისწინებს იმ მომხმარებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველთა ჯგუფს და სთავაზობს მათ შეღავათიან ფასებში თავის პროდუქტსა და მომსახურებას.

შპს „ოცნებას“-ს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა გუმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ სავაჭრო დარბაზში და ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამინის უფლებების დაცვა

შპს “ ოცნებას“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.

შპს „ოცნებას“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2018 წელს შპს „ოცნებას“-ს მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	ათასი. კვტ*სთ	226	40178
2	ბუნებრივი აირი	ათასი კმ	9,23	7842
4	საწვავი	ლიტრი	29469	67006

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

2018 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{4\,562\,312}{2\,341\,078} = 1,95$$

2018 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\text{აქტივების ბრუნვალობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{7\,846\,079}{10\,942\,788} = 0,71$$

შემოსავალი რეალიზაციიდან	7 846 079	
მ. ს. გამოყენების ინტესივობა=		=1,86
მ.ს. ღირებულება	4 213 320	

თავი VI

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან რომელსაც გააჩნია სრული უფლებამოსილება სახიფათო ნარჩენების განადგურების რაც დასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 29.12.2015წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა N74 და #1037 ბრძანებით და 16.01.2017წელს გაცემული #000233, MD 1, ნებართვით.

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათანადო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- ვაზღვევთ ქონებას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იზრუნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2019 წლის 28 ოქტომბერს.



№ 11/10-1
ქ.ბათუმი

„ 28 “ ოქტომბერი 2019

N

28.10.2019წ.

შპს „ოცნება“-ს ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის ანგარიში

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ოცნება“-ს (შემდგომში „საწარმო“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 28 ოქტომბერს.

პატივისცემით,

შპს „ოცნება“-ს

დირექტორი: ილია გაბაიძე





შპს "ოცნება"

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	4	7 846 079	7 543 067
სხვა შემოსავლები		61 965	252 832
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(507 231)	(412 691)
მარაგის შეძენა		(4 035 266)	(4 006 572)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(604 795)	(830 179)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(440 061)	(451 079)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(411 018)	(414 285)
საგადასახადო ხარჯი		(61 467)	(62 462)
სხვა ხარჯი	6	(55 084)	(78 450)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 793 123	1 540 180
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(169 768)	258 027
ფინანსური ხარჯი		(338 616)	(454 232)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 284 739	1 343 975
მოგების გადასახადი		(9 615)	(19 145)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 275 125	1 324 831

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ილია გაბაიძე

ლალი შარაშიძე

შპს "ოცნება" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2018	31.12.2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7 6 217 002	6 579 442
არამატერიალური აქტივები	8 20 864	24 546
სულ გრძელვადიანი აქტივი	6 237 866	6 603 988
მიმდინარე აქტივები		
მარაგი	9 3 839 542	4 346 772
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10 727 675	809 131
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	43 545	23 486
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11 94 160	856 423
სულ მიმდინარე აქტივები	4 704 921	6 035 812
სულ აქტივები	10 942 788	12 639 800
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	13 117	13 117
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	5 739 099	4 505 896
სულ საკუთარი კაპიტალი	5 752 215	4 519 012
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12 2 656 255	4 235 611
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	2 656 255	4 235 611
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13 2 347 341	3 627 230
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	186 976	257 947
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2 534 317	3 885 177
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	10 942 788	12 639 800

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ილია გაბაიძე

ლალი შარაშიძე

შპს "ოცნება"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2016 წაშთი	13 117	3 285 137	3 298 254
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	1 324 830,53	1 324 831
გაცემული დივიდენდი		(104 072)	(104 072)
31.12.2017 წაშთი	13 117	4 505 896	4 519 012
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	1 275 125	1 275 125
გაცემული დივიდენდი	-	(41 922)	(41 922)
31.12.2018 წაშთი	13 117	5 739 099	5 752 215

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ილია გაბაიძე

ლალი შარაშიძე

(Handwritten signatures in blue ink)

შპს "ოცნება"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	9 299 793	8 764 729
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4 081 057)	(5 432 359)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(742 855)	(711 893)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>4 475 882</u>	<u>2 620 477</u>
გადახდილი გადასახდები	(1 654 596)	(1 443 395)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	2 821 286	1 177 082
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>2 821 286</u>	<u>1 177 082</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(23 677)	(194 679)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(35 445)	(12 741)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(59 122)</u>	<u>(207 420)</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	4 895 305	4 497 313
სესხის დაფარვა	(8 026 524)	(4 277 344)
პროცენტის დაფარვა	(321 793)	(407 980)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	158 926	24 969
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(230 341)	(42 651)
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(3 524 427)</u>	<u>(205 692)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(762 263)	763 969
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	856 423	92 454
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	94 160,10	856 423

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ილია გაბაიძე

ლალი შარაშიძე

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 ოქტომბერს.


დირექტორი:

ილია გაბაიძე



მთ. ბუღალტერი:

ლალი შარაშიძე



ს ნებართვა გა